საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 16/1638-17

„30" 05 2017ნ

შპს „მარინ ნეტ Marine Net"-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 15 ივნისს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება **შპს „მარინ ნეტ Marine Net"-ს** ავტორიზაციის შეჩერების საკითხი.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:

ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;

ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;

გ) არ იხდის რეგულირების საფასურს;

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი: სამსახურებრივი ბარათი - 1 ფურც.

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ მაია ქადეიშვილს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის მ/შ ნატალია ჯანელიძის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო მაია,

თქვენი 2017 წლის 19 მაისის N შ-10/3923-17 სამსახურებრივი ბარათთან დაკავშირებით გაცნობეთ შემდეგს:

1. შპს რედნეტი - 2014 წლის აპრილის თვის შემდეგ კომისიაში არ წარმოუდგენია რეგულირების საფასურის გაანგარიშებები და წარმოდგენილი რეგულირების საფასურის გაანგარიშებების შესაბამისად კომპანიას კომისიის წინაშე გააჩნია რეგულირების საფასურის დავალიანება 8,96 ლარი;

2. შპს Greeny - კომისიაში არ წამოუდგენია რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებები ავტორიზაციის მიღების დღიდან (ავტორიზაციის თარიღი: 08/05/2015) და არცერთხელ არ განუხორციელებია რეგულირების საფასურის ჩარიცხვა კომისიის ანგარიშზე;

3. შპს მარინ ნეტ Marine Net - კომისიაში არ წამოუდგენია რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებები ავტორიზაციის მიღების დღიდან (ავტორიზაციის თარიღი: 05/03/2014) და არცერთხელ არ განუხორციელებია რეგულირების საფასურის ჩარიცხვა კომისიის ანგარიშზე.

პატივისცემით,

ნატალია ჯანელიძე
22/05/2017

N10/3979-17
22 05 17
1